# შპს „მშენ-ექსპერტი +“

A – ტიპის ინსპექტირების ორგანო

მის: ქ. თბილისი, გიორგი მიროტაძის ქუჩა, №6, სართული 3, ბინა №4

ტელ.: (+995) 595-95-25-22

ს/კ 406304896


აკრედიტაციის მოწმობის №:GAC-IB-0350

ინსპექტირების ანგარიშის №: FT-160/02/26-I160

გაცემის თარიღი: “ 2 ” 03 2026 წელი

ინსპექტირების თარიღი: 25.02.2026÷ 02.03.2026 წელი

**ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:**

ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N68, ნაკვ. №01.10.07.004.103 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ინსპექტირება.

*ვამტკიცებ,*

დირექტორი _____ ნ. ჭიპაშვილი

# ინსპექტირების ანგარიში
# (ექსპერტიზის დასკვნა)

| | |
|---|---|
| დამკვეთის იდენტიფიკაცია: | შპს „გეოლოგიური სამსახური“, ს/კ 405217509<br>დირექტორი: ნინო სადრაძე |
| ანგარიშის შედგენის საფუძველი: | განაცხადი №-160/02/26-I160 (25.02.2026 წ)<br>ხელშეკრულება №C-160/02/26-I160 (25.02.2026 წ) |
| ინსპექტირების სფერო: | საინჟინრო-გეოლოგიური ნაწილის ინსპექტირება |
| ინსპექტირების ამოცანა: | ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N68, ნაკვ. №01.10.07.004.103 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ინსპექტირება. |

თბილისი
2026 წელი

# შემადგენლობა


1. ინსპექტირების შემსრულებლები . . . . . 3
2. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები . . . . . 3
3. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები . . . . . 3
4. კვლევითი ნაწილი . . . . . 4
5. დასკვნა . . . . . 10




## ინსპექტირების შემსრულებლები

*ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლობლად, ჯეროვნად ჩავატაროთ ანალიზი და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.*

ინსპექტორი: ***ნინა არეშიძე*** _____

## წარმოდგენილი მასალები

1. ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N68, ნაკვ. №01.10.07.004.103 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.

## გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში №71):
   - ტექნიკური რეგლამენტი - „შენობების და ნაგებობების ფუძეები" (დანართი №2);
   - ტექნიკური რეგლამენტი - „სამშენებლო კლიმატოლოგია" (დანართი №5);
2. СНиП 1.02.07-87 „საინჟინრო-საძიებო სამუშაოების მშენებლობისათვის";
3. პნ 01.01.-09 სეისმომედეგი მშენებლობა;
4. სნ და წ. IV-5-82 მიწის სამუშაოები;
5. სნ და წ. 2.02.02-85 ჰიდროტექნიკური ნაგებობების ფუძეები;
6. სნ და წ. 2.02.03-85 ხიმინჯოვანი საძირკვლები;
7. პნ 02.01-08 შენობების და ნაგებობების ფუძეები;
8. სნ და წ. 2.02.01-83 საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობებისათვის;
9. საქართველოს მთავრობის დადგენილება №257;
10. MEP-TP-G06.5 ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

# კვლევითი ნაწილი

ინსპქტირებაზე წარმოდგენილია: ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N68, ნაკვ. №01.10.07.004.103 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.

ექსპერტიზის მიზანია წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა საინჟინრო გეოლოგიური კვლევების წარმოებისათვის საქართველოში ამჟამად მოქმედი სტანდარტებისა და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებთან (ტექნიკური დავალება თან ერთვის საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნას).

შპს არე დიღომის დაკვეთის საფუძველზე შპს გეოლოგიური სამსახურის გეოლოგებმა ჩაატარეს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N68-ში, ს/კ №01.10.07.004.103-ში სამშენებლო მოედნის შესწავლის მიზნით. სამშენებლო მოედანზე გათვალისწინებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ტექნიკური დავალების თანახმად, საპროექტო შენობა თორმეტსართულიანია, ერთი სარდაფის სართულით. შენობის ტიპი - კარკასულ-მონოლითურია, საძირკვლის სავარაუდო ტიპი - დადგინდება გეოლოგიური სამუშაოების ჩატარების შემდეგ. ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – II.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ამოცანას წარმოადგენს ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების დადგენა, მოედნის ამგები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა და უბანზე გავრცელებული საშიში გეოდინამიკური მოვლენების შეფასება.

დასაპროექტებელი ნაგებობების დაფუძნების პირობების განსაზღვრისათვის ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: მოძიებულია და დასკვნაში გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევები “ქ, თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება”, გ. ჯაფარიძის “თბილისის საინჟინრო გეოლოგია” უბნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერებულია მიმდებარე ტერიტორია, ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად და ნიმუშების ასაღებად გაყვანილია 4 ჭაბურღილი საერთო სიღრმით 80 გრძ/მ, ბურღვა მიმდინარეობდა შპს გეოლოგიური სამსახურის საკუთრებაში არსებული საბურღი აგრეგატის УРБ 2-А2-ის საშუალებით, სვეტური მეთოდით, კერნის უწყვეტი ამოღებით. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად აღებულია 24 გრუნტის და 1 გრუნტის წყლის ნიმუში, რომლებზეც ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა შპს გეოლოგიური სამსახურის და შპს წყალი

და გრუნტის გეოტექნიკურ დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპოგეგმის მიხედვით, სადაც მოცემულია ჭაბურღილების გაყვანის კოორდინატები.

კვლევები ჩატარებულია და დასკვნა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების - (სამშენებლო წესები და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად: ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის), პნ 01.05-08 (სამშენებლო კლიმატოლოგია), პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები), ს.ნ. და წ. IV-5-82 (მიწის სამუშაოები), ს.ნ., წ. 2.02.03-85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები), ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები), პნ 01.01.-09 (სეისმომედეგი მშენებლობა), სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტები, კლასიფიკაცია). საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარდა 2025 წლის დეკემბერში და 2026 წლის იანვარში.

საკვლევი მოედანი მდებარეობს, აღმოსავლეთ საქართველოში, ქ. თბილისში, გეოლოგი ეყრდნობა ქ. თბილისის მეტეო სადგურების მონაცემებს და აღწერს მას. დიდი დიღმის ტერიტორიაზე, ტერიტორიის საერთო კლიმატური პირობები ზომიერად კონტინენტურია. საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით განეკუთვნება IIIგ კლიმატურ ქვერაიონს (№55). წლის საშუალო ტემპერატურა 12,6°C, წლის აბსოლუტური მინიმუმი -24°C, აბსოლუტური მაქსიმუმი 40°C. ნალექების წლიური რაოდენობა 560 მმ-ს შეადგენს, გრუნტებისთვის სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე - 0 სმ-ია.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება მთათაშორისი ბარის ზონის, საშუალო სიმაღლის მთა-ხეობიანი რელიეფის ქვეზონას, რომელიც აგებულია მესამეული ასაკის მოლასებით და ეროზიული რელიეფით ხასიათდება (საქართველოს ეროვნული ატლასი, 2012). ტერიტორიის რელიეფი აღმოსავლეთის მიმართულებით მცირედ დახრილი ზედაპირით არის წარმოდგენილი, სამშენებლო მოედანს დასავლეთიდან დემეტრე თავდადებულის ქუჩა ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან ასფალტის გზა, ხოლო დანარჩენი ორი მხრიდან რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები. სამშენებლო მოედანი განაშენიანებული არ არის. მოედნის აბსოლუტური ნიშნულები 506,9 – 511,2 მ ფარგლებში იცვლება.

საკვლევი მოედანი საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით (შ. ადამია, 2004) მდებარეობს საქართველოს ბელტის, პოსტკოლიზიურ, ფორლანდურ აუზში, იქ სადაც აჭარა-თრიალეთის ნაოჭაშეცოცებითი ზონის აღმოსავლური დაბოლოება იშლება და იძირება მოლასური ნალექების ქვეშ. საკვლევი ტერიტორია მდებარეობს დიღმის სინკლინის ჩრდილო ფრთაზე, ღერძულ ნაწილთან ახლოს.

სამშენებლო მოედანი მდებარეობს მეოთხეულ პროლუვიურ-დელუვიურ ნალექებზე, რომლებიც წარმოდგენილია: თიხით და თიხნარით და ტექნოგენური გრუნტით, ხოლო ძირითადი ქანები წარმოდგენილია ქვედა მიოცენური საყარაულოს რეგიოსართულის ზღვიური ნალექებით, წარმოდგენილი თიხებით, ქვიშაქვებით, არგილიტებით და კონგლომერატებით.

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური რუკის დანაწილების მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება ხაპრალოვახი და ხაპრალოვახ-კარსტული წყლების თბილისის წყალწნევიან სისტემას, ხასიათდება გაზრდილი მინერალიზაციის ხარისხით >1გ/ლ, ხოლო წყალუხვობის ხარისხით მიეკუთვნება სუსტად წყალუხვს D<.0.1 /წმ (ბუაჩიძე და ზედგენიძე, 1970).

უბნის მთავარ ჰიდროგრაფიულ ელემენტს წარმოადგენს მდ. მტკვარი. მდ. მტკვრის დინება ჩრდილოეთიდან სამხრეთითაა მიმართული. მდინარის კალაპოტის სიგანე ძირითადად 100-200 მ-ია. საკვლევი მოედნიდან მდინარე დიდი მანძილით არის დაშორებული, ამიტომ, მდინარის ეროზიული მოქმედება სამშენებლო მოედანზე მოსალოდნელი არ არის.

სამშენებლო მოედანი საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულიდან გამომდინარე, თანახმად ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის დანართ 10-ის მიხედვით, განეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას. ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე, სამშენებლო მოედანზე გამოყოფილია ხუთი ფენა. ქვემოთ მოყვანილია ამ ფენების დახასიათება.

ფენა №1 ნაყარი გრუნტი - $tQ_{IV}$- თიხნარის მასა, ღორღის და ბეტონის ნამტვრევების ჩანართებით, შემკვრივებული. ფენა სამშენებლო მოედანზე პირველი ფენის სახით არის წარმოდგენილი. ფენის სიმძლავრე 1,6-2,8 მ-ის ფარგლებში მერყეობს. ფენა ფუძის გრუნტებად და საინჟინრო-გეოლოგიურ ელემენტად არ განიხილება, ამიტომ არ დასინჯულა.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 24–a-II კატეგორიას.

ფენა №2 თიხა – $pdQ_{IV}$ - მოყვითალო-ყავისფერი, ნახევრადმყარი კონსისტენციის. ფენა გავრცელებულია 1,6-8,0 მ-ის ფარგლებში. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 6 ნიმუშით. რომლებზეც ჩატარდა ძვრაზე გამოცდები საფეხურებრივი დატვირთვით 0,5 კგძ/სმ2 3,0 კგ-მდე. შესწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: ტენიანობა, სიმკვრივე, პლასტიურობის ზღვრები. გამოთვლილია ფორიანობა, ფორიანობის კოეფიციენტი, პლასტიურობის რიცხვი, დენადობის მაჩვენებელი. მათი რიცხვითი მნიშვნელობების მიხედვით პნ 02.01-08 დანართი 3, ცხრილი 3-ის საფუძველზე მიღებულია პირობითი საანგარიშო წინაღობის მნიშვნელობა. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული

მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 1-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა).

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 8-г-III კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ფენა №3 თიხა - pdQIV- მოყვითალო-ყავისფერი, წყალშემცველი ქვიშნარის ლინზებით, ძნელპლასტიური კონსისტენციის. ფენა გავრცელებულია 6,0-14,5 მ-ის ფარგლებში. დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 6 ნიმუშით შესწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: ტენიანობა, სიმკვრივე, პლასტიურობის ზღვრები. გამოთვლილია ფორიანობა, ფორიანობის კოეფიციენტი, პლასტიურობის რიცხვი, დენადობის მაჩვენებელი. მათი რიცხვითი მნიშვნელობების მიხედვით ᲡᲜ 02.01-08 დანართი 3, ცხრილი 3-ის საფუძველზე მიღებულია პირობითი საანგარიშო წინაღობის მნიშვნელობა. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 2-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა).

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 8-в-III კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ფენა №4 თიხა - მოყვითალო-ჭრელი, ჟანგისფერი ლაქებით, შრეებრივი, ნახევრადმყარი კონსისტენციის. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 6 ნიმუშით. რომლებზეც ჩატარდა ძვრაზე გამოცდები, საფეხურებრივი დატვირთვით 0,5 კგძ/სმ$^2$ 3,0 კგ-მდე. შესწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: სიმკვრივე, ტენიანობა, პლასტიურობის ზღვრები. გამოთვლილია ფორიანობა. ფორიანობის კოეფიციენტის დენადობის მაჩვენებელი, გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებელი მოყვანილია ცხრ. 3-ში, ხოლო ლაბორატორიის კვლევის შედეგები ჯამურ უწყისში (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა).

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 8-г-III კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ფენა №5 თიხა - მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი კონსისტენციის. ფენაში შუაშრეების სახით გვხვდება ქვიშაქვების დამორჩილებული რაოდენობა. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 6 ნიმუშით. რომლებზეც ჩატარდა ძვრაზე გამოცდები, საფეხურებრივი დატვირთვით 0,5 კგძ/სმ$^2$ 3,0 კგ-მდე. შესწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: სიმკვრივე, ტენიანობა, პლასტიურობის ზღვრები, მათი რიცხვითი მაჩვენებლების მიხედვით გამოთვლილია ფორიანობა, ფორიანობის

კოეფიციენტი და დენადობის მაჩვენებელი. მათი რიცხვითი მნიშვნელობების მიხედვით პნ 02.01-08-ის დანართი 2-ის, ცხრილი 2, ცხრილი 3 და დანართი 3 ის, ცხრილი 3-ის საფუძველზე მიღებულია გრუნტის სიმტკიცის და დეფორმაციის მახასიათებლები. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 4-ში. (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა).

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 8-ჯ-IV კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ინჟინერ-გეოლოგმა დადგინა სამშენებლო მოედანზე გრუნტის წყალი დაფიქსირდა 6,3-8,2 მ-ის სიღრმეზე. დონის დამყარება აბს.ნიშნ. 502,2 მ. წყალი ძლიერ აგრესიულია პორტლანდცემენტზე დამზადებული $W_4$ $W_6$ და $W_8$ მარკის ბეტონის მიმართ, არ არის აგრესიული წიდაპორტლანდცემენტზე და სულფატომედეგ ცემენტზე დამზადებული W4 $W_6$ და $W_8$ მარკის ბეტონის მიმართ. არ არის აგრესიული არმატურის მიმართ რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მუდმივი დაძირვის პირობებში, საშუალოდ აგრესიულია პერიოდული დასველების დროს

ასევე დაადგინეს ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N68 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი №01.10.07.004.103, მდებარეობს აღმოსავლეთის მიმართულებით მცირედ დახრილ რელიეფზე. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევების "ქ, თბილისის გეოლოგიური საფრთხეების შეფასების ანგარიში"-ს გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მიხედვით, საკვლევი უბანი მიეკუთვნება დაბალი გეოლოგიური საფრთხის ზონას. მიწის ნაკვეთი მდგრადია ამჟამად, მასზე საშიში გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, ზვავი, კარსტი, სუფოზია და სხვ.) განვითარებული არ არის.

სამშენებლო მოედანზე გამოიყო ოთხი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ნაყარი გრუნტის ფენა მხედველობაში არ მიიღება): ამ სგე-ების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 5 (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა).



ინჟენერ-გეოლოგი იძლევა რეკომენდაციას ქვაბულის ფერდოს ქანობის დახრა განისაზღვრება სნ და წ III-4-80-ის თავი 9-ის ცხრ. 4-ის მოთხოვნების საფუძველზე, რომლის მიხედვით 5 მ-მდე ქვაბულის ფერდოს დახრა თიხოვანი გრუნტისთვის მიიღება 1:0.50 ანუ 63°, ხოლო ქვაბულის ფერდოს ვერტიკალური ქანობის შემთხვევაში, როდესაც ქვაბული 5 მ-ზე მეტია, აუცილებელია მისი ფერდოების გამაგრება შპუნტების, ხიმინჯების, საყრდენი კედლების ან სხვა მეთოდების გამოყენებით.

ქ. თბილისი - პნ 01.01.-09 "სეისმომედეგი მშენებლობა" სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A – 0.17; ხოლო უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებით, იმავე კრებულის ცხრ. №1-ის მიხედვით მიეკუთვნებიან II კატეგორიას.

ანგარიშის ტექსტური ნაწილი შესაბამისობაშია ლაბორატორიული კვლევების და გრაფიკული ნაწილის მასალებთან.

ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N68, ნაკვ. №01.10.07.004.103 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგების მიმართ ინსპექტირებას პრეტენზია არ გააჩნია და ეძლევა დადებითი შეფასება.

დანართი – საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები თან ერთვის დასკვნას ელ-ვერსიით.

# დასკვნა

ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N68, ნაკვ. №01.10.07.004.103 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში შესაბამისობაშია მოქმედი ნორმატული დოკუმენტების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება.

იხ. კვლევითი ნაწილი.

ინსპექტირების ანგარიში შეადგინა:

***ინსპექტორი:*** /ნ. არეშიძე/

ინსპექტირების ანგარიში ტექნიკურად გადაამოწმა:

***ტექნიკური მენეჯერი,***

***პროფესორი:*** /მ. წიქარიშვილი /

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციულად გადაამოწმა:

***ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი:*** /ა. ჭიპაშვილი/

# საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში

ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N68, ნაკვ. №01.10.07.004.103 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი

თბილისი

იანვარი

2026



მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

# საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში

ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N68, ნაკვ. №01.10.07.004.103 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი

შპს გეოლოგიური სამსახურის დირექტორი

გეოლოგიის აკადემიური დოქტორი ნინო სადრაძე

Nino Sadradze 01008013855 Digitally signed by Nino Sadradze Date: 2026.03.03 15:05:15

გეოლოგიის და საინჟინრო-გეოლოგიის

მაგისტრი, ინჟინერ-გეოლოგი გუგა სადრაძე

Guga Sadradze 01024084858 Digitally signed by Guga Sadradze Date: 2026.03.03 16:55:49

405217509 GEOLOGICAL SERVICE LTD



მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

სარჩევი

1. შესავალი ....4
2. ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები ....5
3. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები ....8
4. დასკვნები და რეკომენდაციები .... 13
5. ციტირებული ლიტერატურა .... 16

დანართები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტექნიკური დავალება | 1ფ |
| 2 | ჭაბურღილების განლაგების სქემა | 1ფ |
| 3 | საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები | 3 ფ |
| 4 | ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები | 4 ფ |
| 5 | ლაბორატორიული მასალები | 27 ფ |
| 6 | ფოტოფიქსაცია | 2 ფ |



მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

# 1. შესავალი

შპს **არე დიღომის** დაკვეთის საფუძველზე შპს გეოლოგიური სამსახურის გეოლოგებმა ჩაატარეს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N68-ში, ს/კ №01.10.07.004.103-ში სამშენებლო მოედნის შესწავლის მიზნით. სამშენებლო მოედანზე გათვალისწინებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ტექნიკური დავალების თანახმად, საპროექტო შენობა თორმეტსართულიანია, ერთი სარდაფის სართულით. შენობის ტიპი - კარკასულ-მონოლითურია, საძირკვლის სავარაუდო ტიპი - დადგინდება გეოლოგიური სამუშაოების ჩატარების შემდეგ. ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – II.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ამოცანას წარმოადგენს ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების დადგენა, მოედნის ამგები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა და უბანზე გავრცელებული საშიში გეოდინამიკური მოვლენების შეფასება.

დასაპროექტებელი ნაგებობების დაფუძნების პირობების განსაზღვრისათვის ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: მოძიებულია და დასკვნაში გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევები “ქ, თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება”, გ. ჯაფარიძის “თბილისის საინჟინრო გეოლოგია” უბნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერებულია მიმდებარე ტერიტორია, ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად და ნიმუშების ასაღებად გაყვანილია 4 ჭაბურღილი საერთო სიღრმით 80 გრძ/მ, ბურღვა მიმდინარეობდა შპს გეოლოგიური სამსახურის საკუთრებაში არსებული საბურღი აგრეგატის УРБ 2-А2-ის საშუალებით, სვეტური მეთოდით, კერნის უწყვეტი ამოღებით. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად აღებულია 24 გრუნტის და 1 გრუნტის წყლის ნიმუში, რომლებზეც ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა შპს გეოლოგიური სამსახურის და შპს წყალი და გრუნტის გეოტექნიკურ



მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

ლაბორატორიაში. ჭაბურღილების გეგმური და სიმაღლითი მიბმა განხორციელდა დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპოგეგმის მიხედვით. საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჭაბურღილები ამოივსო ამოღებული მასალით. კვლევები ჩატარებულია და დასკვნა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების - (სამშენებლო წესები და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად: ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის), პნ 01.05-08 (სამშენებლო კლიმატოლოგია), პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები), ს.ნ. და წ. IV-5-82 (მიწის სამუშაოები), ს.ნ., წ. 2.02.03-85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები), ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები), პნ 01.01.-09 (სეისმომედეგი მშენებლობა), სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტები, კლასიფიკაცია). საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარდა 2025 წლის დეკემბერში და 2026 წლის იანვარში.

## 2. ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

საკვლევი მოედანი მდებარეობს, აღმოსავლეთ საქართველოში, ქ. თბილისში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე, ტერიტორიის საერთო კლიმატური პირობები ზომიერად კონტინენტურია. საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით განეკუთვნება IIIგ კლიმატურ ქვერაიონს (#55). წლის საშუალო ტემპერატურა 12,6°C, წლის აბსოლუტური მინიმუმი -24°C, აბსოლუტური მაქსიმუმი 40°C. წლის საშუალო ფარდობითი ტენიანობა - 66%, ყველაზე ცივი თვის საშუალო ფარდობითი ტენიანობა - 60%, ყველაზე ცხელი თვის საშუალო ფარდობითი ტენიანობა - 40%. ნალექების წლიური რაოდენობა 560 მმ-ს შეადგენს, ხოლო დღეღამური მაქსიმუმი - 146 მმ. თოვლის საფარის წონა 0,50 კპა, თოვლის საფარის დღეთა რიცხვი - 14. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ - 0,73 კპა, ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ - 0,85 კპა. ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1, 5, 10, 15 და 20 წელიწადში ერთხელ - შესაბამისად 28, 33, 35, 36, და 37 მ/წმ. ყველა სახის გრუნტებისთვის სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე - 0 სმ-ია.



მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

სეისმომედეგი მშენებლობისთვის ქ.თბილისი შეფასებულია როგორც 8 ბალიანი, ხოლო A - სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი - 0.17-ია.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება მთათაშორისი ბარის ზონის, საშუალო სიმაღლის მთა-ხეობიანი რელიეფის ქვეზონას, რომელიც აგებულია მესამეული ასაკის მოლასებით და ეროზიული რელიეფით ხასიათდება (საქართველოს ეროვნული ატლასი, 2012). ტერიტორიის რელიეფი აღმოსავლეთის მიმართულებით მცირედ დახრილი ზედაპირით არის წარმოდგენილი, სამშენებლო მოედანს დასავლეთიდან დემეტრე თავდადებულის ქუჩა ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან ასფალტის გზა, ხოლო დანარჩენი ორი მხრიდან რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები. სამშენებლო მოედანი განაშენიანებული არ არის. მოედნის აბსოლუტური ნიშნულები 506,9 – 511,2 მ ფარგლებში იცვლება.

საკვლევი მოედანი საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით (შ. ადამია, 2004) მდებარეობს საქართველოს ბელტის, პოსტკოლიზიურ, ფორლანდურ აუზში, იქ სადაც აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი ზონის აღმოსავლური დაბოლოება იშლება და იძირება მოლასური ნალექების ქვეშ (სურ.1). საკვლევი ტერიტორია მდებარეობს დიღმის სინკლინის ჩრდილო ფრთაზე, ღერძულ ნაწილთან ახლოს. (სურ.2).

სამშენებლო მოედანი მდებარეობს მეოთხეულ პროლუვიურ-დელუვიურ ნალექებზე, რომლებიც წარმოდგენილია: თიხით და თიხნარით და ტექნოგენური გრუნტით, ხოლო ძირითადი ქანები წარმოდგენილია ქვედა მიოცენური საყარაულოს რეგიოსართულის ზღვიური ნალექებით, წარმოდგენილი თიხებით, ქვიშაქვებით, არგილიტებით და კონგლომერატებით. (სურ.2).



მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge




**სურათი 1.** საკვლევი არეს მდებარეობა საქართველოს ტექტონიკური რუკაზე (ადამია, 2004)




**სურათი 2.** საკვლევი არეს მდებარეობა საქართველოს გეოლოგიურ რუკაზე (Папава и др., 1971 )



მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური რუკის დანაწილების მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყლების თბილისის წყალწნევიან სისტემას, ხასიათდება გაზრდილი მინერალიზაციის ხარისხით >1გ/ლ, ხოლო წყალუხვობის ხარისხით მიეკუთვნება სუსტად წყალუხვს D<0.1მ/წმ (ბუაჩიძე და ზედგენიძე, 1970).

უბნის მთავარ ჰიდროგრაფიულ ელემენტს წარმოადგენს მდ. მტკვარი. მდ. მტკვრის დინება ჩრდილოეთიდან სამხრეთითაა მიმართული. მდინარის კალაპოტის სიგანე ძირითადად 100-200 მ-ია. საკვლევი მოედნიდან მდინარე დიდი მანძილით არის დაშორებული დაშორებული, ამიტომ, მდინარის ეროზიული მოქმედება სამშენებლო მოედანზე მოსალოდნელი არ არის.

## 3. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

სამშენებლო მოედანი საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულიდან გამომდინარე, თანახმად ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის დანართ 10-ის მიხედვით, განეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური სურათის მისაღებად, აღნიშნულ მოედანზე გაყვანილია ოთხი ჭაბურღილი, მაქსიმალური სიღრმით 20,0 მ. ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე, სამშენებლო მოედანზე გამოყოფილია ხუთი ფენა. ქვემოთ მოყვანილია ამ ფენების დახასიათება.

**ფენა #1 ნაყარი გრუნტი** - $tQ_{IV}$- თიხნარის მასა, ღორღის და ბეტონის ნამტვრევების ჩანართებით, შემკვრივებული. ფენა სამშენებლო მოედანზე პირველი ფენის სახით არის წარმოდგენილი. ფენის სიმძლავრე 1,6-2,8 მ-ის ფარგლებში მერყეობს. ფენა ფუძის გრუნტებად და საინჟინრო-გეოლოგიურ ელემენტად არ განიხილება, ამიტომ არ დასინჯულა.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 24–а-II კატეგორიას.

**ფენა #2 თიხა** - $pdQ_{IV}$ - მოყვითალო-ყავისფერი, ნახევრადმყარი კონსისტენციის. ფენა გავრცელებულია 1,6-8,0 მ-ის ფარგლებში. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 6 ნიმუშით. რომლებზეც ჩატარდა ძვრაზე გამოცდები,



მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

საფეხურებრივი დატვირთვით 0,5 კგძ/სმ² 3,0 კგ-მდე. შესწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: ტენიანობა, სიმკვრივე, პლასტიურობის ზღვრები. გამოთვლილია ფორიანობა, ფორიანობის კოეფიციენტი, პლასტიურობის რიცხვი, დენადობის მაჩვენებელი. მათი რიცხვითი მნიშვნელობების მიხედვით პნ 02.01-08 დანართი 3, ცხრილი 3-ის საფუძველზე მიღებულია პირობითი საანგარიშო წინაღობის მნიშვნელობა. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 1-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში.

**ცხრილი 1**

| # | ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება | ინდექსი | განზ. ერთ. | ნორმატიული მნიშვნელობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | სიმკვრივე | ρ | გ/სმ³ | 1,87 |
| 2 | მშრალი გრუნტის სიმკვრივე | $\rho_{\delta}$ | გ/სმ³ | 1,47 |
| 3 | გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე | ρs | გ/სმ³ | 2,74 |
| 4 | ბუნებრივი ტენიანობა | W | ერთ. ნაწ. | 0,269 |
| 5 | ფორიანობა | n | % | 46 |
| 6 | ფორიანობის კოეფიციენტი | e | ერთ. ნაწ. | 0,860 |
| 7 | ტენიანობა დენადობის ზღვარზე | $W_L$ | ერთ. ნაწ. | 0,525 |
| 8 | ტენიანობა პლასტიურობის ზღვარზე | Wp | ერთ. ნაწ. | 0,236 |
| 9 | პლასტიურობის რიცხვი | Ip | ერთ. ნაწ. | 29,0 |
| 10 | დენადობის მაჩვენებელი | $I_L$ | ერთ. ნაწ. | 0,12 |
| 11 | ტენიანობის ხარისხი | Sr | ერთ. ნაწ. | 0,86 |
| 12 | პუასონის კოეფიციენტი | μ | ერთ. ნაწ. | 0,42 |
| 13 | დეფორმაციის მოდული | E | კგძ/სმ² | 180 |
| 14 | შიგა ხახუნის კუთხე | φ | გრად. | $18^0$ |
| 15 | ხვედრითი შეჭიდულობა | C | კგძ/სმ² | 0,46 |
| 16 | პირობითი საანგარიშო წინაღობა | $R_0$ | კგძ/სმ² | 2,8 |

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 8-ე-III კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

**ფენა #3 თიხა** - $pdQ_{IV}$- მოყვითალო-ყავისფერი, წყალშემცველი ქვიშნარის ლინზებით, ძნელპლასტიური კონსისტენციის. ფენა გავრცელებულია 6,0-14,5 მ-ის ფარგლებში. დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 6 ნიმუშით.



მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

შესწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: ტენიანობა, სიმკვრივე, პლასტიურობის ზღვრები. გამოთვლილია ფორიანობა, ფორიანობის კოეფიციენტი, პლასტიურობის რიცხვი, დენადობის მაჩვენებელი. მათი რიცხვითი მნიშვნელობების მიხედვით პნ 02.01-08 დანართი 3, ცხრილი 3-ის საფუძველზე მიღებულია პირობითი საანგარიშო წინაღობის მნიშვნელობა. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 2-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში.

**ცხრილი 2**

| # | ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება | ინდექსი | განზ. ერთ. | ნორმატიული |
|---|---|---|---|---|
| 1 | სიმკვრივე | ρ | გ/სმ$^3$ | 1,90 |
| 2 | მშრალი გრუნტის სიმკვრივე | $\rho_\delta$ | გ/სმ$^3$ | 1,48 |
| 3 | გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე | ρs | გ/სმ$^3$ | 2,74 |
| 4 | ბუნებრივი ტენიანობა | W | ერთ. ნაწ. | 0,290 |
| 5 | ფორიანობა | n | % | 46 |
| 6 | ფორიანობის კოეფიციენტი | e | ერთ. ნაწ. | 0,856 |
| 7 | ტენიანობა დენადობის ზღვარზე | $W_L$ | ერთ. ნაწ. | 0,434 |
| 8 | ტენიანობა პლასტიურობის ზღვარზე | Wp | ერთ. ნაწ. | 0,211 |
| 9 | პლასტიურობის რიცხვი | Ip | ერთ. ნაწ. | 22,3 |
| 10 | დენადობის მაჩვენებელი | $I_L$ | ერთ. ნაწ. | 0,35 |
| 11 | ტენიანობის ხარისხი | Sr | ერთ. ნაწ. | 0,93 |
| 12 | პუასონის კოეფიციენტი | μ | ერთ. ნაწ. | 0,42 |
| 13 | დეფორმაციის მოდული | E | კგძ/სმ$^2$ | 150 |
| 14 | შიგა ხახუნის კუთხე | φ | გრად. | 16$^0$ |
| 15 | ხვედრითი შეჭიდულობა | C | კგძ/სმ$^2$ | 0,43 |
| 16 | პირობითი საანგარიშო წინაღობა | $R_0$ | კგძ/სმ$^2$ | 2,5 |

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 8-ბ-III კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

**ფენა #4 თიხა** - N1 - მოყვითალო-ჭრელი, ჟანგისფერი ლაქებით, შრეებრივი, ნახევრადმყარი კონსისტენციის. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 6 ნიმუშით. რომლებზეც ჩატარდა ძვრაზე გამოცდები, საფეხურებრივი დატვირთვით 0,5 კგძ/სმ$^2$ 3,0 კგ-მდე. შესწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: სიმკვრივე, ტენიანობა, პლასტიურობის ზღვრები. გამოთვლილია ფორიანობა,



მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

ფორიანობის კოეფიციენტი, დენადობის მაჩვენებელი. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილში 3, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში.

**ცხრილი 3**

| # | ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება | ინდექსი | განზ. ერთ. | ნორმატიული მნიშვნელობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | სიმკვრივე | ρ | გ/სმ³ | 1,89 |
| 2 | მშრალი გრუნტის სიმკვრივე | $\rho_d$ | გ/სმ³ | 1,54 |
| 3 | გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე | ρs | გ/სმ³ | 2,74 |
| 4 | ბუნებრივი ტენიანობა | W | ერთ. ნაწ. | 0,231 |
| 5 | ფორიანობა | n | % | 44 |
| 6 | ფორიანობის კოეფიციენტი | e | ერთ. ნაწ. | 0,782 |
| 7 | ტენიანობა დენადობის ზღვარზე | $W_L$ | ერთ. ნაწ. | 0,448 |
| 8 | ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე | Wp | ერთ. ნაწ. | 0,216 |
| 9 | პლასტიურობის რიცხვი | Ip | ერთ. ნაწ. | 23,2 |
| 10 | დენადობის მაჩვენებელი | $I_L$ | ერთ. ნაწ. | 0,06 |
| 11 | ტენიანობის ხარისხი | Sr | ერთ. ნაწ. | 0,81 |
| 12 | პუასონის კოეფიციენტი | μ | ერთ. ნაწ. | 0,42 |
| 13 | დეფორმაციის მოდული | E | კგძ/სმ2 | 200 |
| 14 | შიგა ხახუნის კუთხე | φ | გრად. | $19^0$ |
| 15 | ხვედრითი შეჭიდულობა | C | კგძ/სმ2 | 0,49 |
| 16 | პირობითი საანგარიშო წინაღობა | $R_0$ | კგძ/სმ2 | 3,0 |

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 8- ე-III კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

**ფენა #5 თიხა** - N1 - მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი კონსისტენციის. ფენაში შუაშრეების სახით გვხვდება ქვიშაქვების დამორჩილებული რაოდენობა. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 6 ნიმუშით. რომლებზეც ჩატარდა ძვრაზე გამოცდები, საფეხურებრივი დატვირთვით 0,5 კგძ/სმ² 3,0 კგ-მდე. შესწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: სიმკვრივე, ტენიანობა, პლასტიურობის ზღვრები, მათი რიცხვითი მაჩვენებლების მიხედვით გამოთვლილია ფორიანობა, ფორიანობის კოეფიციენტი და დენადობის მაჩვენებელი. მათი რიცხვითი მნიშვნელობების მიხედვით სნ 02.01-08-ის დანართი 2-ის, ცხრილი N2, ცხრილი N3 და დანართი 3-



მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

ის, ცხრილი N3-ის საფუძველზე მიღებულია გრუნტის სიმტკიცის და დეფორმაციის მახასიათებლები. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 4-ში.

**ცხრილი 4**

| # | ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება | ინდექსი | განზ. ერთ. | ნორმატიული მნიშვნელობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | სიმკვრივე | ρ | გ/სმ3 | 2,02 |
| 2 | მშრალი გრუნტის სიმკვრივე | ρδ | გ/სმ3 | 1,68 |
| 3 | გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე | ρs | გ/სმ3 | 2,74 |
| 4 | ბუნებრივი ტენიანობა | W | ერთ. ნაწ. | 0,201 |
| 5 | ფორიანობა | n | % | 39 |
| 6 | ფორიანობის კოეფიციენტი | e | ერთ. ნაწ. | 0,632 |
| 7 | ტენიანობა დენადობის ზღვარზე | $W_L$ | ერთ. ნაწ. | 0,421 |
| 8 | ტენიანობა პლასტიურობის ზღვარზე | Wp | ერთ. ნაწ. | 0,215 |
| 9 | პლასტიურობის რიცხვი | Ip | ერთ. ნაწ. | 20,6 |
| 10 | დენადობის მაჩვენებელი | $I_L$ | ერთ. ნაწ. | -0,07 |
| 11 | ტენიანობის ხარისხი | Sr | ერთ. ნაწ. | 0,87 |
| 12 | პუასონის კოეფიციენტი | μ | ერთ. ნაწ. | 0,42 |
| 13 | დეფორმაციის მოდული | E | კგძ/სმ2 | 250 |
| 14 | შიგა ხახუნის კუთხე | φ | გრად. | $20^0$ |
| 15 | ხვედრითი შეჭიდულობა | C | კგძ/სმ2 | 0,70 |
| 16 | პირობითი საანგარიშო წინაღობა | $R_0$ | კგძ/სმ2 | 5.0 |

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 8-д-IV კატეგორიას.
გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

სამშენებლო მოედანზე გრუნტის წყალი დაფიქსირდა 6,3-8,2 მ-ის სიღრმეზე. დონის დამყარება აბს.ნიშნ. 502,2 მ. წყალი ძლიერ აგრესიულია პორტლანდცემენტზე დამზადებულია $W_4$ $W_6$ და $W_8$ მარკის ბეტონის მიმართ, არ არის აგრესიული წიდაპორტლანდცემენტზე და სულფატმედეგ ცემენტზე დამზადებული $W_4$ $W_6$ და $W_8$ მარკის ბეტონის მიმართ. არ არის აგრესიული არმატურის მიმართ რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მუდმივი დაძირვის პირობებში, საშუალოდ აგრესიულია პერიოდული დასველების დროს.



მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

# 4. დასკვნები და რეკომენდაციები

1. ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N68 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი #01.10.07.004.103, მდებარეობს აღმოსავლეთის მიმართულებით მცირედ დახრილ რელიეფზე. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევების "ქ, თბილისის გეოლოგიური საფრთხეების შეფასების ანგარიში"-ს გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მიხედვით, საკვლევი უბანის მიეკუთვნება დაბალი გეოლოგიური საფრთხის ზონას. მიწის ნაკვეთი მდგრადია ამჟამად, მასზე საშიში გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, ზვავი, კარსტი, სუფოზია და სხვ.) განვითარებული არ არის.

2. სამშენებლო მოედანზე გამოიყო ხუთი ფენა და ოთხი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ნაყარი გრუნტის ფენა მხედველობაში არ მიიღება): ამ სგე-ების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 5.

**ცხრილი 5**

| სგე | ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები | სიმკვრივე გ/სმ³ | ხვედრითი შეჭიდულობა C კგძ/სმ² | შიგა ხახუნის კუთხე φ გრად | პირობითი საანგარიშო წინაღობა $R_0$, კგძ/სმ² | დეფორმაციის მოდული E მპა | პუასონის კოეფიციენტი μ | გრუნტის დასახელება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | $A_n$ | 1.87 | 0.46 | 18° | 2.8 | 18 | 0.42 | თიხა ნახევრადმყარი |
| | α =0,85 | 1.84 | 0.42 | 16° | | | | |
| | α =0,95 | 1.83 | 0.40 | 14° | | | | |
| II | $A_n$ | 1.90 | 0.43 | 19° | 2.5 | 15 | 0.42 | თიხა ძნელპლასტიური |
| | α =0,85 | 1.90 | 0.43 | 19° | | | | |
| | α =0,95 | 1.89 | 0.29 | 17° | | | | |



მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| III | $A_n$ | 1.89 | 0.49 | 19° | 3.0 | 20 | 0.42 | თიხა მოყვითალო-ყავისფერი, შრეებრივი, ნახევრადმყარი |
| | α =0,85 | 1.89 | 0.47 | 19° | | | | |
| | α =0,95 | 1.88 | 0.45 | 19° | | | | |
| IV | $A_n$ | 2.02 | 0.70 | 20° | 5.0 | 25 | 0.42 | თიხამონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი მყარი |
| | α =0,85 | 2.01 | 0.67 | 19° | | | | |
| | α =0,95 | 2.00 | 0.65 | 19° | | | | |
| შენიშვნა: ალბათობის საიმედოობა α გრუნტის საანგარიშო მახასიათებლების განსაზღვრისას მიიღება - ფუძის ზიდვის უნარზე გაანგარიშებისას α=0.95, დეფორმაციაზე გაანგარიშებისას α=0.85 | | | | | | | | |

3. საველე და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე სამშენებლო მოედანზე გამოყოფილი I სგე წარმოადგენს ნახევრადმყარი კონსისტენციის თიხას, გრუნტს გააჩნია სიმტკიცის და დეფორმაციის დამაკმაყოფილებელი მახასიათებლები შესაბამისად ფუძის გრუნტებად მისი გამოყენება შესაძლებელია. საძირკვლის ტიპი - რკინა-ბეტონის მონოლითური ფილა.

4. II სგე წარმოადგენს ძნელპლასტიური კონსისტენციის თიხას, გრუნტს გააჩნია სიმტკიცის და დეფორმაციის დამაკმაყოფილებელი მახასიათებლები.

5. III სგე წარმოადგენს ნახევრადმყარი კონსისტენციის შრეებრივ თიხას, გრუნტს გააჩნია სიმტკიცის და დეფორმაციის დამაკმაყოფილებელი მახასიათებლები, თუმცა ფენა ზედაპირიდან შედარებით ღრმად არის გავრცელებული.

6. IV სგე წარმოადგენს მყარი კონსისტენციის შრეებრივ თიხას, გრუნტს გააჩნია სიმტკიცის და დეფორმაციის კარგი მახასიათებლები. IV სგე-ს გამოყენების შემთხვევაში საძირკვლის ტიპი - რეკომენდებულია დაკიდული ხიმინჯები.

7. სამშენებლო მოედანზე მოედანზე გრუნტის წყალი დაფიქსირდა 6,3-8,2 მ-ის სიღრმეზე. დონის დამყარება აბს.ნიშნ. 502,2 მ. წყალი ძლიერი სულფატური აგრესიულობით ხასიათდება, შესაბამისად საძირკვლის მოწყობისას გამოყენებულ იქნას შესაბამისი მარკის ცემენტზე დამზადებული ბეტონი.

8. სამშენებლო მოედანს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი II-II). საპროექტო შენობის საძირკვლის დაპროექტებისას გათვალისწინებულ იქნას მომიჯნავე შენობების ურთიერთგავლენა. საძირკვლების სხვადასხვა დონეზე მოწყობის



მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

შემთხვევაში გატარებულ იქნას შენობების ურთიერთგავლენისგან დაცვის ღონისძიებები.

9. ქვაბულის ფერდოს ქანობის დახრა განისაზღვრება სნ და წ III-4-80-ის თავი 9-ის ცხრ. 4-ის მოთხოვნების საფუძველზე, რომლის მიხედვით 5 მ-მდე ქვაბულის ფერდოს დახრა თიხოვანი გრუნტისთვის მიიღება 1:0.50 ანუ 63°, ხოლო ქვაბულის ფერდოს ვერტიკალური ქანობის შემთხვევაში, როდესაც ქვაბული 5 მ-ზე მეტია, აუცილებელია მისი ფერდოების გამაგრება შპუნტების, ხიმინჯების, საყრდენი კედლების ან სხვა მეთოდების გამოყენებით.

10. ქ. თბილისი - პნ 01.01.-09 "სეისმომედეგი მშენებლობა" სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A – 0.17; ხოლო უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებით, იმავე კრებულის ცხრ. #1-ის მიხედვით მიეკუთვნებიან II კატეგორიას.

**პროექტის შემსრულებლები:**

შპს გეოლოგიური სამსახურის დირექტორი

გეოლოგიის აკადემიური დოქტორი ნინო სადრაძე

Nino Sadradze 01008013855 Digitally signed by Nino Sadradze Date: 2026.03.03 15:05:52

